1877—1898

# ივერია

№ 106

პარასკევი, 22 მაისი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227



№ 106

პარასკევი, 22 მაისი, 1898 წ.



რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.



„ივერიის“ ტელეფონი № 227



**თავადი გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუა** და **თავ. გრიგოლ გივის ძე ციციშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა, ხოლო მეორე ასულის

## კნეინა ელისაბედ ჩიჩუასას,

რომლის სულის მოსახსენებლად 23-ს მაისს, დღის 12 საათზედ, პანაშვიდი იქმნება გარდახდილი ძველის-სენაკის მაცხოვრის ეკკლესიაში, საიდგანაც მიცვალებულის გვამი განსვენებულ იქმნება უფალის-კარში და იქვე დაკრძალულ 24-ს მაისს.

(1—90—1)

## საქველ-მოქმედო ბაზარი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 24 და 25 მაისს

თავად-აზნაურობის (არწრუნისეულს) ქარვასლის ბაღში.

ვაჭრობა დაიწყება დილის 10-ს საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე.

ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კ. (უ.)

## მოსამსახურეთა საყურადღებოდ

„ტფილისის მოსამსახურეთა დამხმარებითი საზოგადოება“ სთხოვს უმორჩილესად ყველას მობრძანდენ და დაესწრნენ ამა საზოგადოების ახლად შემუშავებულ **წესდების განხილვას** პარასკევს, 22 მაისს, საღამოს 7-ს საათზედ „პურ-ღვინოში“ (მუხრანბატონის სახლებში) სადაც დანიშნულია პირველი საზოგადო კრება „წესდების“ შემმუშავებელ კომისიისა.

(3—უ—3)


უმაღლესად დამტკიცებულის ხელმწიფე იმპერატორისაგან, მარტის 26 დღესა 1898 წელსა, მინისტრთა კომიტეტის ჟურნალის ძალით დადგენილია:

1) ნება მიეცეთ ოსმალთა ქვეშევრდომთ-გარდმოსახლებულ სომხებს დაბრუნდნენ კავკასიიდგან ოსმალეთში; ყოველ მათგანს ოსმალთა ქვეშევრდომ-სომეხს, რომელიც-კი განაცხადებს სურვილს ისარგებლოს აღნიშნულ ნებართვით, არ ევალებათ შესრულება საბაჟო (სატამოჟნო) წესებისა, ხოლო უნდა წარმოადგინონ ადგილობრივ პოლიციის მოწმობა.

2) მიეცეს უფლება კავკასიის მთავარ მართებელს: ა) უმაღლესის ბრძანების დღიდან ერთის წლის განმავლობაში გადაასახლოს კავკასიიდგან ოსმალეთში ყოველი გამოსული ოსმალთა ქვეშევრდომი სომეხი, რომელიც კი არ ისარგებლებს პირველ მუხლში მოხსენებულ ნება-რთვით მინისტრთა კომიტეტის ამა დადგენილებისა; ამ შემთხვევაში მთავარ-მართებელი აღმოუჩენს თავის შეხედულებითა დახმარებას შეწირულ და მოგროვილ ფულიდგან; ბ) ეს განკარგულება საყოველთაოდ დაუყოვნებლივ უნდა იყოს გამოცხადებული.

უმაღლესი ესე ბრძანება საყოველთაოდ განეცხადება ტფილისის გუბერნიაში.

ნამდვილზე ხელი მოაწერა ტფილისის გუბერნატორმა თ. ბიკოვმა.

დაამტკიცა კანცელარიის მმართველმა დ. ტირიუტინმა.

მართალია: მართველი კანცელარიისა ტირიუტინი.

შემოწმებულია: უფროსი თანაშემწე მისი მიხაილოვი.

(1—უ.—1)


მაისის 24, კვირას, დღის 12 საათიდგან და 25-ს, ორშაბათს, დილის 10 საათზედ ტფილისის რომის-კათოლიკე ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიის სამრევლო სკოლის შენობაში

იქმნება გამართული

## ბაზარი,

სადაც გაისყიდება სკოლის სასარგებლოდ იმავე სკოლის მოსწავლე ყმაწვილ-ქალთა ხელთ-ნასაქმი მშვენიერი ნივთეულობა.

ამისთვის მმართველი ამ სკოლისა უმორჩილესად სთხოვს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებასა, რომ მობრძანდნენ და პატივი სცენ ამა სკოლასა თავიანთის თანადასწრებითა. (1—უ.—1)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. შრიტახევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ვ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი, [illegible] და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## ვეკილობს

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 56.

(50—80—18).


## ახალი ამბავი

*.* გუშინ, 21 მაისს, [illegible] ბ-ნ გუბერნატორის და სიღნაღის მაზრის მარშლის წინამძღოლობით წარუდგნენ გზათა მინისტრს მისს ბრწყინვალებას თავადს ხილკოვს კახეთის რკინის გზის გამო. სიღნაღის მარშალმა თ. შალიკაშვილმა მოახსენა მინისტრს, რა რიგად საჭიროა კახეთისათვის რკინის გზა, რადგანაც კახეთი უკან უკან მიდის უგზოობით და სიმდიდრე კახეთისა თითქმის უქმადა რჩება და კახელებისათვის თითქმის გამოუყენებლად და სთხოვა, თუ სახელმწიფოსა ჰსურს ამ გზის აგება, თავად აზნაურობა დიდის სი-

# ფელეტონი

**ნაწყვეტი**

„ვაჟ-კაცსა“ იმას ვუწოდებ,
ვინც რომ ჭირს აგდებს არადა;
არ უფრთხის ტანჯვა-წვალებას,
მოთმინება აქვს ფარადა;
სასოებასა არ ჰკარგავს,
გულში უღვივის მარადა,
სამშობლო ქვეყნისთვის იღვწის,
დედა-ენა აქვს ქნარადა...

ვ. რ.

### წერილი კახეთიდგან

სოფლურ უკულმართობის წინააღმდეგ სოფლურივე ღონისძიებანი.

ყვარელის საბოქაულო გაგრძელებულია ალაზანს გაღმა. კავკასიონის მთის ძირში არის ჩამწკრივებული ის სოფლები, რომელნიც ყვარლის საბოქაულოს შეადგენენ. ამ სოფლებზედ ჩამოდის კავკასიონის მთა-გრეხილზედ სასიარულო ბილიკები, რომლებზედაც ადიან და ჩამოდიან ლეკები, ოსები და სხვ. ამავე გზებით ადის და ჩამოდის ცხვარი და ცხენის ჯოგი ყოველს გაზაფხულსა და შემოდგომაზედ. ამ მთების მცხოვრებთა სიახლოვესა და მეზობლობას ერთის მხრივ და თვით იმ მთის ბილიკებს, რომლების შემწეობით სოფლელს ადვილად შეუძლიან სოფლიდგან თავი მოაშოროს ისეთს ადგილას, სადაც მას არწივის მეტი ვერავინ დაინახავს, თავისი ბეჭედი დაუსვავთ გაღმა მხრის ცხოვრებაზედ: აქ ხშირად იხმარება ცეცხლი შურისძიების იარაღად, ხშირად მკვლელობაც ხდება, რადგანაც ადვილი საშოვნელია მოსყიდული მკვლელი, ხშირად ხდება ქურდობა ყოველ გვარი შენაძენისა, ხშირად ასახიჩრებენ ცხენს, კამეჩს, ხარს და სხ. შურისძიებითა, ხშირად უხდენენ ერთ-ურთს ნაჭირნახულევს იმავე შურისძიებით და სხვანი და სხვანი. ბევრი ბოქაული გამოიცვალა ამ საბოქაულომ, მაგრამ ვერავინ ვერ დასდო წამალი ამ მხარესა. თითქო ჩამოთვლილნი სახენი ავ-კაცობისა სისხლსა-და-ძვალში ჰქონდათ გამჯდარი ადგილობრივ მცხოვრებელთ. მართალია, უმრავლესობა მუდამ მოჩივარი იყო ამ უკულმართობისა, მაგრამ რაკი იმავე მოჩივარს ვინმე შურისძიებით ავნებდა რასმე, თვით იმავ იარაღით აძლევდა პასუხს და ამნაირად ავ-კაცობა ხშირდებოდა.

ბ-ნმა გომელაურმა მიიღო მხედველობაში ნამდვილი მდგომარეობა საქმისა და ხალხს დაუწყო ჩაგონება, რომ თვით იგია ავ-კაცობის მიზეზიც და სარბიელიც, რომ მარტო თვით მცხოვრებელთ შეუძლიანთ, თუ მოისურვებენ, ყოველ გვარი ავ-კაცობის მოსპობა; რომ, თუ თვით მცხოვრებელნი არ მოისურვებენ, მთავრობის მოხელენი ვერ მოსპობენ ავ-კაცობას ძალდატანებით, რადგანაც ძალდატანება უფრო აფიცხებს და აველურებს ადამიანსა. თან მოჰყავდა მაგალითები იმავე მცხოვრებელთა ცხოვრებიდგან.

ამისთანა ჩაგონებამ იქონია სასურველი გავლენა და თითვეულმა სოფლის საზოგადოებამ მოინდომა თვით ეკისრნა ყოველ-გვარი ავ-კაცობის მოსპობა. მთელს საბოქაულოში თვით თითვეულმა სამამასახლისომ შეადგინა დაახლოვებით შემდეგის შინაარსის განაჩენი:

„189... წელსა... რიცხვსა სოფელ № საზოგადოებას დღევანდელ რიცხვში სასოფლო ყრილობაზედ ჰქონდა სჯა შესახებ იმისა, რომ ზოგიერთნი ჩვენგანნი, როგორც ადგილობრივ მცხოვრებნი, აგრეთვე გარეშე ხიზნები და მწყემს-მოჯამაგირეები—არ იშლიან და ახდენენ სხვა და-სხვა საზიზღარ საქმეებს, ე. ი. ქურდობას, საქონლის დაჭრას, ვაზის გაკაფვას, დაწვას და სხვ. ასაცილებლად ამა ყოვლად გასაკიცხავის საქციელისა საზოგადოებამ ამოირჩია ამავე საზოგადოების წევრნი №№, რომელთაც ვანდობთ და ვავალებთ: 1) იქონიონ ყურადღება ქურდობასა და მის მომქმედებზედ, რომელნიც თანაშემწეობით მამასახლისისა წარუდგინონ, სადაც ჯერ არს, კანონიერის პასუხის გებაში მისაცემად და თუ რომელიმე დანაკარგის ანუ კაცისაგან მტრობით მომხდარ ზარალის მომქმედნი არ იქმნებიან აღმოჩენილნი, ზემოდ აღნიშნულ კაცთ ეძლევათ ნება, გააწერონ ყოველივე ზარალის ფასი საზოგადოებაზედ, ჩასწერონ ჯეროვანს დავთარში და გადასცენ მამასახლისს აღსრულებაში მოსაყვანად. მამასახლისი საზოგადოებისაგან მოკრეფილს ფულს ჩააბარებს კუთვნილებრივ და ბათილებს ჩამოართმევს, რაშიაც იგი თავ-თავისს დროს ანგარიშს წარმოუდგენს საზოგადოებას.“

2) „უკეთუ რომელსამე ჩვენთაგანს, დღეიდგან ამ განაჩენის დადგენისა, შეაჩნდეს ქურდობა, გაურჩევლად იმისა, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ნაპარავი და სადაც უნდა იყოს მომხდარი—ჩვენი საზოგადოების წევრისა, თუ სხვა სოფლელისა თელავის მაზრაში და სხვაგან, და დაუმტკიცდება ქურდობა, მოვალე არის, გარდა იმისა, რასაც კანონი და დაზარალებული გარდაახდევინებენ, საზოგადოების სასარგებლოდ გარდიხადოს ჯარიმა შემდეგი განწესებით: ცხენის მომპარავმა ოც-და-ხუთი მანეთი; ხარისა, ანუ კამეჩისა, ანუ ფურ-კამეჩის მომპარავმა—სულზედ ორი თუმანი; ფურის მომპარავმა—ხუთმეტი მანეთი; წვრილის მოცადის საქონლისა, ანუ ცხვარისა, ანუ თხისა, ანუ ღორისა, ანუ ერთის სკა ფუტკრის მომპარავმა—ერთი თუმანი; შინაურის ფრინველის მომპარავმა, აგრეთვე ბოსტნეულისა და ბაღეულის მომპარავმა, თუნდა ერთი მტევანი იყოს, ან ერთი ჰიგო, ან ერთი ტარო სიმინდი იყოს მოპარული, ყოველ შემთხვევაში ხუთ-ხუთი მანეთი.

ამდენივე ჯარიმა უნდა გარდავიხადოთ საზოგადოების სასარგებლოდ თითოეულმა ჩვენთაგანმა, უკეთუ დაგვიმტკიცდება, რომ მტრობით დავჭერით, ან დავასახიჩრეთ კუდის მოჭრით ან სხვაფრივ რომელიმე შინაური პირუტყვი.

„3) უკეთუ რომელსამე ჩვენთაგანს დაგვიმტკიცდება ვისამე ვენახში მტრობით ვაზის მოჭრა, თითოეულ მოჭრილს ვაზზედ

ხარულით მიეგებება ამ სურვილს და თუ რაიმე მიზეზით სახელმწიფო ამ საქმეს ამ ახლო ხანში არ შეასრულებს, ნება მოეცეს ან მთელს თავად-აზნაურობას, ან ცალკე გუნდს, ან ცალკე კაცს კახეთის გზის აგებას შეუდგეს.

ბ-ნმა გუბერნატორმა თავისის მხრით დაუმატა, რომ კახეთის რკინის გზა ორ ნაირად სასურველია. ერთი იმითი, რომ სტრატეგიის თვალით იგი შეადგენს სახელმწიფო საჭიროებას, რადგანაც ეგ გზა დაუახლოვებს დაღისტანს დანარჩენს ამიერ კავკასიას, სადაც მთავარ-მართველობაა კავკასიისა და რკინის გზისაგან შესაძლებელ იქნება მალე ხელის მიწვდენა იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს. გარდა იმისა, რომ სახელმწიფო საჭიროება ითხოვს კახეთში რკინის გზის გაყვანას, სხვა მხრივაც საჭიროება ამ მდიდარ ქვეყნისა, როგორიც კახეთია, მეტის-მეტად აშკარაა. აქ რკინის გზა დიდად სასარგებლო იქნება მცხოვრებთათვისაც, და მცხოვრებთა კეთილ-მდგომარეობაც ხომ ერთი საჭიროებაა სახელმწიფოსიო.

ბ-ნმა მინისტრმა პასუხად სთქვა, რომ სტრატეგიული მნიშვნელობა კახეთის გზისა დიდი საბუთია და ამ მხრით კახეთის გზა არავის უხსენებია და მაგას სახეში მივიღებო. კახეთის რკინის გზა სხვა ფრივაც სასარგებლოა, იმიტომ, რომ სამინისტრო დარწმუნებულია, რომ ეგ გზა ძალიან ხელს შეუწყობს კახეთსა და მოგებასაც მისცემს მისს ამგებსა, რადგანაც $8^{0}/_{0}$ მოგებაა მოსალოდნელიო. მთავრობას თვით უნდოდა მაგ გზის გაყვანა თავისის ხარჯით, მაგრამ იმან დააბრკოლა, რომ ბევრნი ცალკე კაცნი ჰთხოულობდნენ კონცესიას და უმჯობესად დანახულ იქმნა ცალკე კაცმა, ან ცალკე გუნდმა იტვირთოს მაგ გზის გაყვანაო. მთელს თავად-აზნაურობას, როგორც ერთს მთელს წოდებას, გზის გაყვანის ნებას არ მისცემენო. სჯობია, ცალკე კაცი, ან ცალკე გუნდი ვინმე აირჩინოთო. მე ჩემის მხრით, მივალ თუ არა პეტერბურგს, ხელმწიფე იმპერატორს მოვახსენებ თქვენს სურვილსა და თხოვნასაო. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ვიცოდე, რა აზრისანი ხართ თვით გზის მიმართულებაზე. ორ ნაირად გამორკვეულია სად და როგორ უნდა გაიაროს გზამ: ერთი თავად-აზნაურობისაგან და მეორე მთავრობისაგან. თქვენ რომელს უფრო ამჯობინებთო? კარგი იქნება, რომ ამისი შესახები თქვენი აზრი წერილით დღესვე მაცნობოთ, რადგან დღეს საღამოს ექვსს საათზე მივდივარო. თავად-აზნაურობა შეჰპირდა წერილს მოგართმევთო. ბ-ნმა მინისტრმა აქავ უბძანა თავისს მოხელეს, ახლავ გაჰგზავნოს სამინისტროში დეპეშა, რომ ხელახლად გაარჩიონ როგორც თავად-აზნაურობის, ისეც მთავრობის მიერ გამორკვეული პროექტი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავად-აზნაურობის პროექტსა.

ჩვენ შევიტყეთ, რომ კახეთის თავად-აზნაურობას უკვე მოუსწვრია ქაღალდის შედგენა და გუშინ საღამოს მეოთხე საათზედ მიურთმევია ბ-ნ მინისტრისათვის ბ-ნ სიღნაღის მარშლის ხელით.

⁂ გუშინ, საღამოს 7 საათზედ, საგანგებო მატარებლით წავიდა ბაქოს გზათა მინისტრი თავ. მ. ი. ხილკოვი. დღეს, დილის 9 საათზედ, ბაქოდგან საგანგებო მატარებლით წავა საბუნჩის, დღესვე უკან დაბრუნდება და იმიერ კასპიის ოლქისაკენ გასწევს გემით.

⁂ როგორც ქალაქის სადეზინფექციო სადგურის ცნობებიდგანა სჩანს, გუშინ, 21 მაისს, დეზინფექციის შემწეობით უშიშარ ჰყვეს მესამე ნაწილის ძველის ტანისამოსით მოვაჭრეთა დუქნების ტანისამოსი და ეხლა შეუდგნენ მე-6 და 7 ნაწილის დუქნების საქონლის დეზინფექციას. წარსულ კვირას სადეზინფექციო სადგურმა აიღო 500 მანეთი.

⁂ ოთხშაბათს, 20 მაისს, კრებაზედ, საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც ტყის გაშენების საქმე აქვს ჩაბარებული, დაადგინა გააშენოს ვერაზედ, გაუქმებულ სასაფლაოზედ პატარა ბაღი, ისე-კი, რომ ძეგლები, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ხელ-უხლებლად დარჩეს. კომისია ამ საქმისათვის თხოულობს 2,093 მან. და შემდეგ კომისიამ საჭიროდ სცნო გადადებულ იქმნას 1,500 მანეთი ალექსანდრეს ბაღის ზემო ნახევრის მოაჯირის შესაკეთებლად. დასასრულ კომისიამ დაადგინა, გამოსცეს ფასდადებული ნუსხა იმ მცენარეთა, რომელიც გასასყიდათ აქვთ ქალაქის სანერგეში და სთხოვეს საბჭოს, რომ ამ საქმისათვის გადასდოს 35 მან.

⁂ გუშინ შეერთებულმა კრებამ ქალაქის გამგეობისა და ტეხნიკოსთა კომისიისამ შეიმუშავა ნორმალური ხელშეკრულობა იმათთვის, ვინც იკისრებს ქალაქის ელექტრონით გასანათებლად სადგურის და ყველა საჭირო მოწყობილების გამართვას ამასთან დაადგინა დაბეჭდოს ეს ხელშეკრულება და გაუგზავნოს ყველა ცნობილ ფირმას. აგრეთვე დაადგინა გაჰგზავნოს ამ საქმის შესასწავლად ერთი ტეხნიკოსი რუსეთის იმ ქალაქებში, სადაც ელექტრონული განათებაა შემოღებული.

⁂ 20 მაისს სამკურნალო-სასანიტარო საბჭომ გადასწყვიტა ქალაქის გამგეობამ გამართოს ტფილისში საყასბოები ხორცის გასაყიდად. ეხლა, როცა ამ გვარი საყასბოები არ არის, ქალაქის გამგეობა იძულებული არის ხოლმე ნიხრის დასადგენად დაჰკლას ხოლმე საქონელი და ისე გადასწყვიტოს ფასი, რა ფასადაც უნდა გაყიდოს ხორცი. როცა ქალაქი თავის საყასბოებს გაჰმართავს, მაშინ ამდენი შრომა საჭირო აღარ იქმნება, და გარდა ამისა სხვა ყასბებიც იძულებულ იქმნებიან ხორცი იმ ფასად გაჰყიდონ, რა ფასადაც გაიყიდება ამ საყასბოებში. ასეთი საყასბო გაიმართება პირველად იარმუკაზე. ამ საყასბოსათვის ჯერ ჯერობით საჭირო იქმნება ხარჯი თვეში 828 მანათი და მოწყობისათვის 1,800 მანათი. სამკურნალო-სასანიტარო საბჭოს გამოანგარიშებით გირვანქაზე 1 კაპეიკი საყასბოს ხარჯს სულ ერთიანად დაჰფარავს.

იმავე დღეს საბჭომ გადასწყვიტა ნავთლუღის დედათა სამკურნალო გადმოტანილ იქმნას სადმე შუაგულ ქალაქში და იმ შენობაში, სადაც ეხლა დედათა სამკურნალოა, გამართულ იქმნას სამკურნალო სულით ავადმყოფთათვის.

დასასრულ განხილულ იქმნა მოხსენება ბეითალის ვართანოვისა იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნას დაზღვევა საქონლისა, რომელსაც მოერეკებიან ქალაქის საყასბოზედ დასაკლავად. ეს მოხსენება გადაეცა კომისიას.

ბოლოს განხილულ იქმნა კიდევ მოხსენება, რომ საჭიროა ქალაქის სამკურნალოსთან დაარსებულ იქმნას განყოფილება თვალებით ავადმყოფთათვის. ამ საქმის გარდაწყვეტა საბჭომ იმ დრომდე გადასდო, როცა ქალაქის სამკურნალო უფრო დიდსა და უკეთესს შენობაში იქმნება გადატანილი.

⁂ სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორის მიერ გამოცხადებულ ცნობებიდგან სჩანს, რომ წარსულის წლის განმავლობაში ქალაქის ბაზრებში 100 ძროხაზედ მხოლოდ 7 კამეჩი გაყიდულა.

⁂ გუშინ, 21 მაისს, ქალაქის გამგეობას წარუდგინა კომისიამ ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდგანაც სჩანს, რომ 1899 წელს საჭირო იქმნება ხარჯი ქალაქის მიდამოებში ტყის გასაშენებლად 2467 მანეთი, ალექსანდრეს ბაღისათვის 8935 მანეთი და ქუჩებში ხეების დასარგველად 1300 მანეთი, სულ 12702 მანეთი, შემოსავალი კი 800 მანათზე მეტი არ იქნება.

⁂ მთავარმართებლის კანცელარიის სამეურნეო განყოფილების უფროსს ნ. ვ. ნიკოლსკის მიენდო შეგროვება და სისტემატიურად დალაგება გუბერნატორთა, სასოფლო საზოგადოებათა და კერძო კაცთა შუამდგომლობისა 1897 წლის მოუსავლობით დაზარალებულთა შესახებ, რომ მთავრობა დაეხმაროს თესლის მიცემისა და გამოკვების საქმეში დაზარალებულთ.

⁂ 24 მაისს, დილის 11 საათზედ, ნემეცთა ბაღში, მიხეილის ქუჩაზედ, საზოგადო კრება ექმნებათ იმათ, ვინც ღრმა-ღელეში მამულები შეიძინეს. კრება მოისმენს მოხსენებას და განიხილავს ზოგიერთ საგანს ღრმა-ღელეს მოსახლეთა საქმისა და საჭიროების შესახებ.

⁂ ბ. ზ. ჭიჭინაძეს დაუმთავრებია „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომის ბეჭდვა და ამ ერთ კვირაში გასასყიდადაც გამოვა. პირველი ტომი თავდება გიორგი ბრწყინვალის მეფობით, 650 გვერდს იპყრობს და ორივ წიგნი ჰღირს შვიდი აბაზი.

⁂ თორნის პურის მცხობელთა ამქრის უსტაბაშმა ქალაქის მოურავს გადასცა თხოვნა, რომელშიაც აცხადებს, რომ მეპურეთა ამხანაგობას შევადგენ ამქრის ფულით ფქვილის საწყობისა და ფურნის გასამართავად იმ პირობით, თუ საბჭო მოქცემს ქალაქის განაპირას თავისუფალ ადგილს, სადაც შეიძლებოდეს ფქვილის საწყობისა და საერთო პურის საცხობის გამართვა, ქალაქის თანხიდგან ხარჯისათვის საჭირო ფულს, რომელსაც დანიშნულ ვადაზედ დავუბრუნებთ, და აგრეთვე ნებას დართამს ამქარს, ააშენოს უფასოდ ქალაქის ადგილებსა, მოედნებსა, ბაზრებსა და აგრეთვე პოლიციის ყველა ნაწილში თითო ფურნე პურის გასასყიდად და საჭმელების მოსახარშადაო. დასასრულ უსტაბაში პირობას სდებს, რომ თუ საბჭო თანახმა იქმნება, ერთ ფუთ პურს 20 კ. უფრო ნაკლებ გავყიდით, ვიდრე რუსეთის იმპერიის რომელსამე ქალაქში იყიდებაო.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დადგენილებით ქ. ერევანში დაუარსებიათ ამ საზოგადოების განყოფილება.

⁂ ფოთი. ბევრ სხვა სიკეთესთან გარეშეთა მოსიარულეთათვის დაარსებულს ქალაქის სამკურნალოსაც მოვესწარით. რა თქმა უნდა, ასეთი სასურველი დაწესებულება არამც თუ ბევრ მოქალაქეთა სნეულთ გაუღვიძებს იმედს, არამედ სოფლელებსაც ჩაუნერგავს ნასწავლ ექიმების რწმენასა და დაიხსნის იმ გაიძვერა ცრუ-პენტელა მარჩიელ ექიმებისაგან, რომლებიც დღემდის თამამად დაფარფაშობენ. ცხადია, რომ ექიმი და წამალი მდიდრებისაა და არა ღარიბებისა. იგი ბოგანო ხალხისათვის ჩვენში თითქმის მიუწდომელია, რადგან არ იცის საბრალომ რომელს ერთს უნდა გაუძლოს: ექიმისა, წამლისა, თუ მეეტლეს ფულს. იშვიათი მოვლენაა, რომ მეაფთიაქემ ღარიბებს წამალი იაფად დაუთმოს და ექიმმა

---

საზოგადოების სასარგებლოდ ვიხდით თითო მანეთსა“.

„4) უკეთუ რომელსამე ჩვენთაგანს დაგვიმტკიცდება ან დაწვა რისამე, ან გატეხა მარნისა, ან გატეხა სახლისა, ან გატეხა ბეღლისა, ვიხდით საზოგადოების სასარგებლოდ მომხდარ ზარალის ნახევარსა და ამის მომქმედნი საზოგადოებისაგან განდევნილნი ვიყვნეთ“.

„5) უკეთუ რომელმამე ჩვენთაგანმა ქურდი კაცი შევინახოთ, ან როგორმე ხელი შევუწყოთ, რომ მან მისცეს ვისმე ზარალი,—ყოველს ამისთანა შემთხვევაში ვიხდით საზოგადოების სასარგებლოდ ოც-დახუთს მანათს; უკეთუ ამის შემდეგ მაინც არ გამოვაჩინეთ ქურდის ვინაობა, მოვალე ვართ ვუზღოთ ზარალი იმ ქურდისაგან დაზარალებულსა“.

„6) უკეთუ ვინმე ჩვენთაგანმა ვიყოლიოთ საეჭვო და უბილეთო კაცი ან მწყემსად, ან მოჯამაგირედ, ან მეზვრედ, ან მეველედ და ან შინა-მოსამსახურედ და იმათ ქურდობით, ან სხვაფერ ზარალი მისცენ ვისმე, თუნდა ეს ზარალი იყოს სხვა სოფლის საზოგადოებისა,—ყოველს ამისთანა შემთხვევაში იმათმა შემნახავებმა ვზღოთ მოხდენილი ზარალი ჩვენის უძრავ-მოძრავის ქონებითა და კანონის პასუხის-მგებელნი-კი თვით-მომქმედნი იქმნებიან“.

„7) უკეთუ ვინმე ჩვენთაგანმა საქონლით ზარალი მივეცით რომელსამე კაცს, ან გაუფრთხილებლობით რამ წავუხდინეთ, გარდა იმისა, რომ გარდავიხდით წანახედის პატრონის სასარგებლოდ, რაც სასამართლოს, ან შინაურულის მორიგებით გადაგვხდება, მოვალენი ვართ გარდავიხადოთ საზოგადოების სასარგებლოდ იმ ნიხრით, რომელიც მთავრობისაგან მოგვდის ხოლმე ყოველ წლივ წანახედის შესახებ“.

„8) უკეთუ ვინმე ჩვენთაგანმა მძლავრობით წავართვათ ან ჭირნახულისა და ვენახის პატრონს, ან მეველეს წანახედში დაჭერილი ჩვენი საქონელი, ყოველს ამისთანა შემთხვევაში საზოგადოების სასარგებლოდ გარდავიხადოთ ნიხრში მოხსენებული ფასები ერთი-ორად. აგრეთვე ერთი-ორად გარდავიხადოთ ყველამ, ვისაც-კი დაუმტკიცდება, რომ მან თავის გამორჩენის გულისათვის თითონ შერეკა საქონელი სხვისა თავის ან ვენახში, ან ჭირნახულში, ან ბაღეულ-ბოსტნეულში, ან საძოვარ და სათიბ ადგილებში, ან თუ შერეკა მტრობით ერთ-ერთი მხარისა სხვისა მამულში სხვისივე საქონელი, გაურჩევლად იმისა, ვისიც უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს“.

„9) ამასთანავე გვქონდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ბევრი ჩვენთაგანი არ იშლიან, საქონელი და ცხენები მძლავრობით შეჰყავთ ვენახებში, როგორც თავისსა, აგრეთვე სხვისაში, და ახდენენ; გარდა ამისა, რომ ამტვრევენ ვაზებს, რქასა, ღობესა, ამასთანავე გვიწვავენ ჭიგოს; როდესაც ამისთანა საქციელისათვის მოწანახედეს ვახდევინებთ რასმე, საქონლის პატრონები და იმათი მოჯამაგირეები სამაგიეროს გვიხდიან იმით, რომ ხან თივებს გვიწვავენ, ხან საქონელს გვიჭრიან, ხან გვიკაფავენ ვაზებსა და გვაძლევენ სხვა-და-სხვა ზარალსა. ამის ასაცილებლად და რადგანაც მთავრობისაგან გამოგზავნილ ნიხრში არ არის მოხსენებული გარდასახადი ვენახისა, განვაწესეთ: უკეთუ რომელისამე ჩვენთაგანისა რომელიმე შინაური პირუტყვი იქმნება მოტანებული ვენახებში, თუნდა ვენახი პირუტყვის პატრონისა იყოს, იმის გარდა, რომ უნდა ვუზღოთ წანახედი ვენახის პატრონს, ვისიც იქმნება, მოვალენი ვართ გარდავიხადოთ საზოგადოების სასარგებლოდ ჯარიმად: ცხენისა და მსხვილ საქონლისა სულზედ თითო მანეთი, მოზარდის წვრილ საქონლისა ორი აბაზი. ცხვრისა—აბაზი, ინდაურისა და ბატისა—თითო შაური. თუ მძლავრობით წავართვით მამულის პატრონს, ან მეველეს დატუსაღებული, მაშინ ვიხდით ერთი-ორად, რაც ზემოდ აღნიშნულია. ამასთანავე ნება ეძლევათ თავთავიანთ ვენახში აძოვებინონ საქონელი, თუ ვენახი ოთხივ კუთხივ საკუთრად შემოღობილია და თუ იქიდგან მომიჯნავეს ვენახში გადავიდა საქონელი, ან რომელიმე პირუტყვი, ერთი-ორად უნდა გარდაიხადოს, რაც ზევით სწერია“.

„10) უკეთუ რომელიმე ჩვენთაგანი არ გავიდეთ სადარაჯოთ, მოვალენი ვართ თითოეულ ღამეში გაუსვლელობისათვის გარდავგხდეს თითო მანეთი საზოგადოების სასარგებლოდ და ჩვენში ვინც დარაჯის თავებად ითვლებიან, თუ იმათ უყურადღებობა დაუმტკიცდებათ, ან თუ ყოველ ღამეს არ დაათვალიერებენ, დარაჯთა საზოგადოებისავე სასარგებლოთ გადიხადონ ღამეში ორი მანეთი“.

„11) ამასთანავე ვკისრულობთ გარდავიხადოთ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი-ორად დღიური ფასი, როგორც ქვევით მუშა კაცისა, აგრეთვე ურმისა, უკეთუ რომელიმე ჩვენთაგანი ძალით არ გამოვა, შეტყობინებისამებრ, როგორც სახელმწიფო და სასოფლო გზების ბეგარასა, აგრეთვე სასოფლო ყრილობაზედ, რადგანაც ხშირად ბევრნი იცილებენ თავიდგან ამ მოვალეობის შესრულებას, რაც იწვევს ხოლმე დარბევას, სახლის ავეჯების დაკარგვას და სხვა უწესოებას მოხელეებისას“.

„12) ზემორე აღნიშნულ ჯარიმების გარდახდევინებას ვანდობთ და ვავალებთ ჩვენგან ამორჩეულთ ზემორე მოხსენებულ კაცთა მამასახლისისა და ნაცვლის თანაშემწეობით, რომელნიც მოვალენი არიან ჯარიმად შემოსული ფული უკლებლივ ჩასწერონ საზოგადოების შემოსავალ-გასავლის დავთარში და მოთხოვნილებისათანავე ანგარიში წარმოუდგინონ საზოგადოებას, რომლის ნება დაურთველად არ შეუძლიანთ არავითარის საჭიროებისათვის იმ ფულიდგან არც ერთის გროშის დახარჯვა, და თუ საზოგადოებისაგან ნება დაურთველად დახარჯეს, მოვალენი არიან თავისის საკუთრებიდგან გარდიხადონ; ამასთან ნებას ვაძლევთ მამასახლისს და ამორჩეულ კაცთ, რომ თუ ჩვენთაგანი ვინმე თავისის ნებით არ გარდიხდის გარდაწყვეტილს ჯარიმას დროზედ, გაუყიდონ მოძრავი ქონება და ისე შეავსონ შესატანი ფული, ამისთანა შემთხვევაში ჩვენ არც სამდურავი შეგვიძლიან და არც საჩივარი, უკეთუ ვიჩივლოთ სადმე, ამ განჩინების ძალით შეუწყნარებლად დარჩეს ჩვენი საჩივარი ამორჩეულ კაცებსა და მამასახლის ნაცვალზედ. ამავე დროს ამოვირჩიეთ ხაზინადრად №№, რომელიც აწარმოებს შესავალ-გასავლის წიგნსა და ჩაიბარებს ფულს“.

ეს გადაწერილია უკვე მოქმედებაში შესულის განაჩენისაგან. ვიმეორებ, ამისთანა განაჩენები თითოეულ სოფელსა აქვს ხსენებულ საბოქაულოში მცირე მეტ-ნაკლებობით.

გულდასმით წაკითხვა განაჩენისა გვაცნობებს სოფლის ცხოვრების ავკრაგიანობას; განაჩენი სწორედ მა-

თავისი შრომა. ექიმების უანგარო შემწეობაში ამ მხრივ აქ მარტო ერთია განთქმული.

დღეს მოგვეცა შვება და ლხენა, მიუწდომელი მისაწდომელად გაგვიხადა ჩვენმა ქალაქის გამგეობამ. განცხადებით გვაუწყა, რომ სამკურნალოში შესასვლელი „ბილეთები“ 20 კაპეიკი ღირსო. მეტად ღარიბებს კიდევ წამალიც მუქთად მიეცემათ სამკურნალოს აფთიაქიდგანო. ასეთ ბედნიერებას დიდი ხანია შევნატროდით. ვინ იცის, მოლოდინში კიდევ რამდენ ჭაპანწყვეტის გზას გავივლიდით, რომ მალე ნ. ნიკოლაძეს არ განეხორციელებინა სამკურნალოს ბედ-იღბლის დაარსება.

*** ბაქო. მადლობა ღმერთს, დიდის ხნის სურვილი აგვისრულდა და ძლივს ვეღირსეთ ქართულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს ქ. ბაქოში, რომელიც ბ-ნი დ. მკერვალიშვილის თაოსნობით და მეცადინეობით იქმნა დაარსებული. ამ მაისის თვეში აკურთხეს დიდის ამბით სამკითხველოს სადგომი, რომელიც იმყოფება მარინესბაღის პირდაპირ, კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო, ასე რომ ამ განიერს ქუჩაზედ ტევა არ იყო და ეტლების სიარულიც-კი შესწყდა. აქ შეხვდებოდით ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენელთ, საქართველოს ყოველ კუთხის მცხოვრებ ქართველებს. ყოველ ნაირს მოხელეს და სხვა-და-სხვა ერის ხალხს. სამკითხველოს შესავალი კარები მორთული იყო მწვანე გვირგვინებითა და დროშებით. კურთხევისა და პარაკლისის წესი იქმნა გარდახდილი ქართულს ენაზედ, რომელიც შეასრულა პატივცემულმა მღვდ. ივანე ლიაძემ. ქართულადვე ჰგალობდა ბ-ნის მკერვალიშვილის მიერ შემდგარ მგალობელთა ხორო. დამსწრე ქართველ საზოგადოების სიამოვნებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. და ხალხი 4 საათზედ დაიშალა. სამკითხველოს კედლებს ამშვენებენ ჩვენ მეფეთა და საუკეთესო მოღვაწეთა სურათები. იმედია, ერთ-გულად მოეკიდება როგორც ამ კეთილ საქმის დაწყებისათვის არჩეული მზრუნველი კომიტეტი, აგრეთვე ყოველი ქართველი და ყველა თანაგრძნობას აღმოუჩენს ამ კეთილს საქმეს.

*** სოფ. დიდ-გომარეთი, (ბორჩალოს მაზრა). იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოში ვცხოვრობთ, ჩვენის ქვეყნის ცხოვრების ამბებს რუსეთში უფრო ადრე გაიგებენ, ვინემ ჩვენ გომარეთში. ამის მიზეზი გახლავთ უგზო-უკვლოობა. წერილის გაგზავნა, ან მიღება (ჟურნალ გაზეთებისას ხომ თქმა არ უნდა) მეტად გასაჭირია. ეს იყო მიზეზი, რომ გვიან გავიგეთ გმირის მეფე ერეკლეს გარდაცვალების ასის წლის შესრულება და მისის სულის მოსახსენებლად ტფილისში პანაშვიდის გარდახდის ამბავი, თუმცა არც ჩვენ ჩამოვრჩით სხვა ქართველ დაბასოფლებს და მეფის დაკრძალვის ასის წლის შესრულებისა გამო აქაც გარდვიხადეთ მის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი. პანაშვიდი გარდაიხადა მღ. მამა სარდიონ ალადაშვილმა და შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ადგილობრივმა მასწავლებელმა და გააცნო დამსწრე საზოგადოებას გმირის მეფის ღვაწლი და თავდადება სამშობლო ქვეყნისათვის.

ამასთანავე გიგზავნით ჩვენ მიერ შეკრებილს შემოწირულებას, ნახევარს ერეკლეს ფონდის გასაძლიერებლად დ̃ ნახევარსაც დიდებულის მცხეთის სვეტის ცხოვლის ტაძრის შესაკეთებლად. ულრმესს მადლობას ვუძღვნით ჩვენის მხრივ უხვის შემოწირულებისათვის პატივცემულს კნ. მართა ლარაძის ასულს შალიკაშვილისას, რომელიც საზოგადო საქმისათვის არაფერს ჰზოგავს ხოლმე. ვისურვებთ, რომ ამათ მაგალითისათვის მიებაძნოთ სხვებსაც. სია შემომწირველთა: კნ. მართა ლარაძის ასული შალიკაშვილისა — 100 მან., დიმიტრი სულხანიშვილი — 3 მ., მღ. სარდიონ ალადაშვილი — 1 მ., მასწავლებელი — 1 მან., მედავითნე მიხეილ ამირანიძე — 50 კაპ., მანველ მურადაშვილი — 40 კაპ., ფიდო ჭალიძე — 20 კაპ., გიორგი ლაგურაშვილი — 20 კაპ., ზალიკო ხმალაძე — 20 კაპ., სულ 106 მან. 50 კაპ. ამ ფულიდგან ფოსტაზედ დაიხარჯა 91 კაპ. *)

*** 19 მაისს, მთის ქუჩაზედ, დოლუხანოვის სახლის კარების წინ, ნახეს მიგდებული ბავშვი, ესე სამის კვირისა, რომელსაც შემდეგის შინაარსის ბარათი უპოვნეს: „მონათლულია, მართლ-მადიდებელია, სახელად ჰქვიან ნინო“. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა გაჰგზავნა ტოპოგრაფთა დასი სვანეთის გარდასაღებად. აზრადა აქვთ წელს დაასრულონ ის სამუშაო, რაც ქუთაისის გუბერნიაში დარჩათ, ხოლო მერმისს ყუბანის ოლქის გადაღებას შეუდგნენ.

*** გორის მაზრის ზოგიერთ სოფლის იმ საზოგადოებათ, რომელნიც მოუსავლობით დაზარალებულ იქმნენ, შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ ახალ მოსავლამდე მიეცეთ პური იმათ საინტენდანტსვოს პურის საწყობებიდგან. გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერს, რომ ამ შუამდგომლობას თანაგრძნობით მიეგებნენო.

*** ამ ჟამად ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში აღმოჩნდა კალია. კალიასთან საბრძოლველად განზრახვა აქვთ გაიწვიონ კავკასიის სახელმწიფო მამულების სამმართველოს მოხელენი იმ აზრით, რომ ბრძოლას ცოტა ხარჯი და ცოტა მუშა დასჭირდეს.

*** გუშინ, 21 მაისს, ორლოვის ქუჩაზე, ტფილისის მეოთხე ნაწილში, სასანიტარო ინსპექტორმა სტეფანოვმა ჰნახა ორი დუქანი, სადაც მაწონს ადედებენ. თვით დუქნები, ქვაბები, ჭურჭელი და სხვა ისეთი უსუფთაო აღმოჩნდა, რომ ბ-ნი ინსპექტორი იძულებულ იქმნა ორივე დუქანი დაეკეტა და შემდეგ ორივე დუქნის პატრონი სამართალში მისცა.

*) ეს ფული 105 მან. 60 კაპ. გარდავეცით „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“. რედ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. მიქელ-გაბრიელი,** (გურია). საკვირველია, ღმერთმანი, ზოგიერთი ჩვენი სოფლების ბედ-იღბალი და განსაკუთრებით-კი მიქელ-გაბრიელისა! სოფლის ბობოლების ცუღლუტობა, იმათი ხრიკები, პირადის სარგებლობის ძიება სუსტ-უძლურთა და „ტკირთმძიმეთა და მაშვრალთა“ იმათგან დაჩაგვრა ხომ „არ ახალია — ძველია!“ ეს ჩვენ წინადაც გვითქვამს „ივერიაში“, თუ მთლად არა, ზოგიერთი ამბავი მაინც აღგვინიშნავს, რამდენადაც შესაძლო იყო. ამას ისე შევეჩვიეთ, რომ არაფერი არ გაგვაკვირვებს! ვამბობ, აქ საკვირველი არაფერია იმიტომ, რომ მიქელ-გაბრიელის საზოგადოება გაუთლელი, წელში გამართული და ცხოვრების გზაზედ გამოსული ძნელად წარმოსადგენია. განსაკუთრებით ამ საზოგადოების ერთი სოფელი — ხრიალეთი ხომ ნამდვილი „ხრიალეთია“! აბა როგორ შეიძლება, რომ აქ რომელსამე „ძალის მქონის“, ან გაიძვერა „სოფლის ჭამიის“ ხელში არ კრუსუნებდეს და არ „ხრიალებდეს“, სულთმობრძავი „წაჯაბნებული“ აქაური გლეხი! ამ გვარ საქმეთა ვითარებას შესამჩნევი დაღი დაუსვამს მიქელ-გაბრიელისა და ხრიალეთისათვის; ეს ხომ გურიის სოფელია, რკინის გზასთანაც ახლოს არის; მოსალოდნელი იყო, რომ ცოტა რამ კარგის ცხოვრების ნიშან-წყალი უნდა დასტყობოდა; აბა ნახეთ ან წიგნთ-საცავი, ან ერთი წიგნი, ან ერთი გაზეთი; მოიარეთ და უთხარით რამე ან სკოლაზედ, შენობის გაკეთებაზედ (ძველის დანგრევას ცოტა აკლია), ან გზებზედ, ან სხვა რამეზედ. „ყველა წყალს წაუღიაო“, ასე ჰფიქრობს აქაური გლეხი, რადგანაც სიცოცხლე უიმისოდაც გამწარებული აქვს. ხრიალეთის უკანასკნელ წლებში აწეწვ-დაწეწვა ჩვენ ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია; იქაურის „ბობოლების“ ბუქნა-ლეკურიც ჩვეულებრივია. დღეს მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ ამ ყოვლად მავნე მიმართულებას სულ სხვა გვარი ფერადის წამლებით შეღებილს უკრეს თავი გაზეთში. წავიკითხე „ცნობის ფურცლის“ № 535-ში „დამსწრე“-ს წერილი ჩვენი სოფლიდგან. ერიჰაა, ბიჭო! ბევრი ახალი ამბები შევიტყე! გაუუსანჯოთ კბილი ახლად გამოჩეკილს! „ხრიალეთში 80 კომლიაო“, თუ მეტიცო! მართლა? ეს რომელ ხრიალეთშია ნეტავი ასე ჯარი კომლი? სოფლის მწერალს ვერა ჰკითხეთ მაინც, თქვენ თუ ვეღარ იცნობთ თქვენს სოფელს, ბ-ნო დამსწრევ? იქიდგან მაინც გაიგებდით, რომ ხრიალეთი და 80 კომლი მცხოვრები ისე შორს არიან, როგორც „აქედგან და აღდგომა“!

ესენი „მალზე დაშორებულნი არიან მიქელ-გაბრიელის ორ-კლასიან სასწავლებლისაგან, სადაც პატარა ბავშვებს სიარული არ შეუძლიანთ გზის უვარგისობით; ამისთვის მრევლმა მიმართეს (?) (ვტოვებთ შეუცვლელად „დამსწრის“ მართლ-წერას) ადგილობრივ მღვდელს მაღლო ზრუნვა ერთ-კლასიან სასწავლებლის გახსნისათვის იმავე სოფელში“... და სხვა. დაგელოცა, ღმერთო, სახელი! რა გვარ ლათაიებს არ შეხვდებით ხან-და-ხან ახლად ენა-ადგმულის ბავშვის ტიტინში! ნეტა რა ჯურის ერთ-კლასიანი სასწავლებელი უნდა შეინახოს იმ 15—25 კომლმა, რომლებმაც ვითომ განაჩენი შეადგინეს, მაშინ როდესაც სხვა სოფლებში 300 კომლს ვერ შეუქნია სკოლა და თვით ჩვენ სოფელში სიღარიბის გამო კარგად მოზრდილის თანხის პატრონი სამინისტრო სკოლა ძლივს არის სულსჰკლავს? (აქაურს სკოლაში ერთის მასწავლებლის ჯამაგირს ისტუმრებს დაარასებიდგან შედგენილი თანხის ნამთავნი, შენობა-კი მაინც ვერ აგვიგია). მართლა მრევლმა მიჰმართა მღვდელს, თუ ის გგონიათ, რომ მრევლს ორი სამი კაცი შეადგენს და სხვები არა? მაშ გაიხსე, ნეთ შემდეგი: შარშან წყალ-წმინდის ძმობამ მოიწადინა თითქმის ერთიანად თავისის ხარჯით ს. ხრიალეთის ნაეკლესიარზედ ერთ-კლასიანის სამრევლო სკოლის დაარსება. მეჭვი არ არის, წყალ-წმინდის ძმობა კიდეც დააარსებდა, რადგანაც მას შრომის-მოყვარეობასთან და მხნეობასთან ერთად საკმაო შეძლებაცა აქვს. რა იყო მიზეზი, რომ ჩვენის სოფლის ზოგიერთმა გაყაბატონებმა კინაღამ ჯვარს აცვეს ძმობის წარმომადგენელი და ნახევრად გაკეთებული საქმე ჩაუფუშეს? იქნება იცნობთ იმ გაყაბატონებს, ბ-ნო დამსწრევ! დღეს-კი ორმოც კომლიან ღარიბ სოფელს ახვევთ თავზედ სკოლას (სჩანს კარგად გესმით, რა საჭირია ერთ კლასიანის სკოლის მოწყობასა და გამღოლას!), აქაო-და ჩვენც სწავლას ვეტრფით, შემოგვხედეთ, რას ვაკეთებთ და ჩვენი მამასახლისი როგორ გვეღუპავდაო! თქვენის აზრით რა უფრო მოუხდებოდა ჩვენს სოფელს, წყალწმინდელების მიერ ნაჩვენები გზა, თუ თქვენი? ამ გარემოებას რად დააფარეთ ხელი? ნუ თუ ეს ჩვენისთანა ღარიბებისთვის უმნიშვნელო იყო? თუ მთელმა მრევლმა ხელი მოაწერა, აქ მამასახლისი რაღა ბედენა იყო?

ახლა მე თქვენ ახალ ამბავს გეტყვით: თქვენ მიერ განდიდებული მამასახლისი ამ საქმეში ძალიან ჩქვიანად მოქცეულა და ქების ღირსიც არის. მას უთუოდ კარგად ესმის, როგორ უთხრიან ძირს ზოგიერთი გაყაბატონები ორკლასიან სამინისტრო სასწავლებელს, როცა მას უიმისოდაც პატარა საზოგადოებაში ასე მალ და მალ აცილებენ

---

ტიანება სოფლის ცხოვრების უკუღმართობისა.

მართალია, უცბად გარდაქმნა ადამიანისა მარტო სასწაულებრივ შეიძლება, ამისათვის არც ამ განაჩენებს შეეძლოთ ხალხის ცუდის ზნის სწრაფად გასწორება, მაგრამ მთელი გაღმა მხარი დამემოწმება, რომ ამ განაჩენში ანუსხულმა ავ-კაცობამ შესამჩნევად იკლო. შეიძლება იურისტებმა ამ განაჩენს ათასი მიზეზი გამოუძებნონ უკანონობისა; შეიძლება, სხვათაც ჩასთვალონ იგი სხვა-და სხვა ბოროტ-მოქმედების წყაროდ; შეიძლება, ვთქვათ, რომ ამორჩეულთ და მამასახლისს დიდი უფლება ეძლევათ, — ყველა ეს შეიძლება ითქვას კიდეც და თავიც გამოიდოს ვინმემ ამ განაჩენის გაბათილებისათვის. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხალხს შეგნებული აქვს ანუსხულ ავ-კაცობისაგან წარმომავალი ზარალი, შეგნებული აქვს, რომ ყოველი ახლად მომხდარ ავ-კაცობის მიზეზი წარსულშია, რომ მომეტებული რიცხვი ავ-კაცობისა სამაგიერო შურის-ძიებაა, დავრწმუნდებით, რომ წარსულში მიზეზების უარ-ყოფა, მომხდარის, გარდასულის პატიება და მოსპობა ისევ ხალხს შეუძლიან. ამ განაჩენით ისპობა, დაიწყებას ეძლევა ყოფილი და ავ-კაცობას ახალი სათვალავი ეწყობა. ამ განაჩენით აღიარებულია ყველა პატიოსან კაცად დ̃ დღეის იქით უპატიოსნება ვისიმე ნამდვილს საბუთებზედ მყარდება და არა ცარიელ მითქმა-მოთქმაზედ, როგორც აქამდის იყო და რის გამოც ბევრჯელ საწყალი და მასთან უდანაშაულო ისჯებოდა და დამნაშავე-კი თავს აცდენდა სასჯელსაცა და უპატიოსნოს სახელსაც. ასე ხდებოდა უეჭველად, თუ დამნაშავე შემძლებელი და გავლენიანი კაცი იყო სოფელში. განაჩენი სრულის თვისი შინაარსით მიმართულია „მძლავრობის“ წინააღმდეგ.

ისიც შეიძლება, რომ ამორჩეული მამასახლისისა და ნაცვლის თანაზიარად ბოროტად მოიხმარონ განაჩენით მინიჭებული უფლება, მაგრამ ამისთანა შემთხვევისაგან არც ერთი სამართლიანი კანონი არ არის თავისუფალი, თვით სახარების სწავლა მრავალჯერ ბოროტად მოუხმარებიათ...

ვიცით მხოლოდ, რომ ჩამგონებელი ხალხისა ბ-ნი გომელაური გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს, რომ განაჩენი სიმართლით იყოს მოყვანილი აღსრულებაში, რომ არავინ დაჩაგრული არ იყოს და არც არავინ თავი არ ააცდინოს ხალხის ნება-ყოფლობით განწესებულსა; ვიცით, რომ ყველგან უმრავლესობა უმადლის ბ-ნ გომელაურს ასეთის გონივრულის და სასიკეთო, ნაყოფიერ წესწყობილებისათვის; ვიცით, რომ ბ-ნ გომელაურს დიდი ნდობა, სიყვარული და პატივისცემა აქვს დამსახურებული უმრავლესობისგან.

ვინც სოფლის ცხოვრებას არ დაჰკვირვებია, ვერ წარმოიდგენს სოფელში „წანახედის“ სიდიადესა. ყველა ნამუშავარის თითქმის მეოთხედი ნაწილი „წანახედის“ მსხვერპლია. შეჩვევა ხალხისა სხვის ნამუშავარის პატივისცემისა — დიდი მადლია. ნემენცების ახალშენებში ისეა შესისხლხორცებული სხვისის ნამუშავრის პატივისცემა, რომ ძნელად მოხდება წანახედით გაფუჭება ნამუშავრისა. ჩვენში-კი ათასმა კაცმა რომ გაიაროს, სხვის ნამუშავარში დაინახოს საქონელი, ერთი არ იფიქრებს, გამორეკოს, ან მეძროხეს დაუძახოს და სხვ. აგრეთვე ეჭცევა სხვის ნამუშავარს თვისი საქონლითა.

მართალია, ისინი, რომელთაც ხელობად ავ-კაცობა ჰქონდათ გამხდარი, ძნელად გასწორდებიან, მართალია, ძალიან შეებრძოლებიან ამ განაჩენის აღსრულებაში მოყვანას, იქნება მოსარჩლენიც იშოვნონ, რადგანაც ამათთანა კაცთ ყოველთვის ვინმე სოფელში გავლენიანი მწყალობელი ჰყავთ, იქნება ამ მოსარჩლეების ხელმძღვანელთ საჩივარიც ასტეხონ მთავრობასთან, მაგრამ, რაკი მთავრობა გაიცნობს განაჩენის სასიკეთო მხარეებს და მის კეთილს შედეგს, დარწმუნებულნი ვართ, ის ვაჟბატონები თვისის მრჩეველებით უნაყოფოდ დაშვრებიან და იძულებულნი იქმნებიან გადუხვიონ ბოროტების გზასა და ჰქმნან კეთილი. სრული იმედია, რომ მთავრობა მფარველობას გაუწევს ბ-ნს გომელაურს.

სასურველია, ამ განაჩენის შინაარსი ყველგან ცხოვრებაში შეტანილი იყოს იმავე წეს-რიგით, როგორც ყვარელის საბოქაულოშია; სასურველია ამასთანავე, ყველგან იყოს შემოღებული გარდასახადის დროს შეფერება თითოეულის კომლის მოსალოდნელ ფულად შემოსავალ დროსთან. პირველი შრომის ნაყოფს უზრუნველ ჰყოფს ყოველ გვარი დაკლებისაგან, მისცემს მუშაკს შეძლებას, თვისის შრომის სრულის ნაყოფით ისარგებლოს; ხოლო მეორე ააცილებს თავიდგან იმავე მუშაკს გარდასახადის ერთი-ორად, ერთი-სამად გარდახდასა, რაც დიდი შელავათი იქმნება მოხარკისათვის.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ბ-ნს გომელაურს გლეხთა გაჭირვებულ ცხოვრების თანაგრძნობისა და შემსუბუქების საქმეში და ვისურვოთ, რომ იმისის მაგალითისათვის ბევრს მიებაძნოს.

ნადიკვრელი

სოფლებს. აი, სწორედ იმიტომ ვერ გაგვიკეთებია სკოლის შენობა, რომ ს. სამღვთო გაჩტა განზედ ისევ „მეთაურების" წყალობით და „პარტიობას" მოჰკიდა ხელი. იქნება თქვენც ასე გსურთ, მაგრამ სიცრუეა, უნაყოფო ოცნებაა, რადგანაც სამღვთო ხრიალეთზედ $2^1/_2$ ჯერ მეტია და თავსაც იმითი იმართლებდა, რომ იმისი ერთი ნაწილი სკოლაზედ მართლა დაშორებული იყო. თქვენც ხრიალეთის შესახებ მეტი რომ ვერა გინახავთ, ამას იმახით, მაგრამ დაგვიწყებიათ, რომ „სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს". ს. ხრიალეთი ზედ კანცელარიასა და სამინისტრო სკოლასთან არის ახლოს. რომელი სოფელია ნეტავი უფრო ახლო?

რას ამტკიცებს ყველა ზემოდ თქმული, თუ არ იმას, რომ თქვენი ამბავი უფრო ჰგავს ვექილობას ზოგიერთ ვაყბატონებისას, რომელთაგან ჩვენს სოფელს ჯერ ზარალის მეტი არა უნახავს-რა, და რომელთა რიცხვს თქვენ თუ არ ეკუთვნით, ცნობით მაინც კარგად იცნობთ. ვიცით და კვლავაც გვეცოდინება, რომ „ალიას ღარდი მარტო ფლავია, ფლავი"!..

ვ. სეფისპირელი

# რუსეთი

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის მიერ მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ რუსეთის თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დაუდგენია სამაგალითო მინდვრები გაჰმართოს და გლეხობას გააცნოს მცენარეულობის მოვლა-მოყვანა და გაუკეთესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ხმარება.

— რადგან რუსეთის მხოლოდ 40 სამრევლო სასწავლებელში საცდელად შემოღებულ ხელსაქმის სწავლებამ მეტად წაახალისა მოსწავლენი, რომელნიც სიამოვნებით დადიოდნენ სასწავლებელში და სწავლობდნენ ჭრა-კერვას, ქსოვასა და სხვას, ამიტომ სასულიერო უწყებაში ლაპარაკი ალიძრა, რომ ყველა სამრევლო სასწავლებელში იქმნას შემოღებული ხელ-საქმის სწავლება მოსწავლე ქალთათვისაო.

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გაზ. „Temps"-ს მადრიდიდგან დეპეშით ატყობინებენ: „ესპანელები, რომელნიც წინად ასე სიხარულით მიეგებნენ სერვერის ესკადრის სანტ-იაგოს ნავთ-სადგურში შესვლის ამბავს, დღეს მოუთმენლად და შიშით მოელოდებიან სანტ-იაგოდგან დეპეშას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ეს ესკადრა და როგორ მიდის იმის საქმეები. საქმე ის არის, რომ, როგორც ამ ბოლოს დროს გამოირკვა, სანტ იაგოს ნავთ-სადგური ისე კარგად არა ყოფილა გამაგრებული, როგორც ესპანელებს ეგონათ. თუ ამერიკელებმა მოინდომეს, ადვილად შესძლებენ სანტ-იაგოს ნავთ-სადგურში შესვლას და ესპანიის ესკადრის სრულიად ამოჟლეტას, რადგანაც ეს უკანასკნელი გაცილებით მცირე და სუსტია, ვიდრე ამერიკელების ესკადრა".

— ლონდონიდგან იუწყებიან, რომ ამერიკის ორმა გემმა დასჭრა სატელეგრაფო მავთულები სანტ-იაგოსა და გაუნტანამოსაო. როდესაც სანტ-იაგოს მავთულებს სჭრიდნენ სიმაგრეებიდგან ამერიკელებს ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ ამ უკანასკნელთ თავიანთი ყუმბარებით მალე ჩააჩუმეს ესპანელებიო. ამერიკელებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათო.

— გაზეთი „Times"-ი სწერს: „როგორც ეტყობა ამერიკის ესკადრას არა სურს შეებას ესპანიის ფლოტს იმ დრომდე, ვიდრე ამ უკანასკნელს კადიკსიდგან გამოსული მეორე ესკადრა არ მიეშველებოდეს. მათის აზრით ამ ესკადრის დამარცხება არც იმდენად სასახელო იქმნება და არც იმდენად გამოსადეგი, რომ მარტო ამის გულისათვის ხელი გაისვარონ. ორივე ესკადრის ერთად განადგურებით, ჰფიქრობენ ამერიკელები, ორ მიზანს მივაღწევთ: ჯერ ერთი, რომ ჩვენი ფლოტის ვაჟკაცობას და მამაცობას დავამტკიცებთ, მეორე კიდევ —ესპანიის ძალას სრულიად შევმუსრავთო".

— გაზ. „Новости" სწერს: „პრეზიდენტმა მაკ-კინლეიმ ბრძანება გასცა, რომ 75,000 მეომარი კიდევ იქმნას მოწვეული, რადგანაც ის ჯარი, რაც უკვე მოკრიბეს, მთავრობის აზრით ცოტაა. აქედგან აშკარაა, რომ ომი დიდხანს გასტანს და შეერთებულ შტატებს კუბის განთავისუფლება იაფად არ დაუჯდება. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია ევროპის სახელმწიფოებზედ და მათ პოლიტიკაზედ. მათის ვაჭრობისათვის საზარალოა, რასაკვირველია, ომის გაგრძელება, ამიტომ ამერიკამ, რომელსაც უმთავრესად სდებენ ამის ბრალს, ევროპაში ბევრი მომხრე და თანამგრძნობელი დაჰკარგა. ინგლისელებმა დღეს პირი ესპანიისაკენ იბრუნეს; იმის დედოფალს მისალოც დეპეშებს უგზავნიან. წინად-კი, როდესაც ეგონათ, რომ ამერიკა, ორი ან სამი კვირის განმავლობაში მიწასთან გაასწორებს ესპანიასაო, ამერიკელებს დიდ მეგობრობას და ძმობას უცხადებდნენ. გერმანიაში ჟურნალ-გაზეთები ომის დაწყებიდგანვე არ თანაუგრძნობდნენ ამერიკელებს, ხოლო დღეს პირდაპირ უკმაყოფილებას უცხადებენ მათ. საფრანგეთში საზოგადო აზრი და თანაგრძნობა მუდამ ესპანიის მხარეს იყო. ესევე ითქმის იტალიისა და ავსტრი-უნგრეთის შესახებაც. თუ ომი შემდეგაც ასე გაგრძელდა, ამერიკა იმ ორიოდე მეგობარსა და მომხრესაც დაჰკარგავს, რომელიც მას დღეს ევროპაში ჰყავს. რაც შეეხება ამერიკისა და ინგლისს შორის კავშირის დადებას, ამ აზრს მრავალი აღუდგა წინ თვით ინგლისსა და შეერთებულ შტატებში. ამ დღეებში, მაგალითად, ჩიკაგოში ირლანდიელთ დიდი მიტინგი მოახდინეს და განაცხადეს, რომ ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის კავშირი შეუძლებელია. ეს კავშირი შეერთებულის შტატებისათვის დიდად სამარცხვინო იქნებაო. მაგრამ ამის მიუხედავად, თუ ორივე სახელმწიფოს პოლიტიკოსებმა როგორმე მოახერხეს და ინგლისსა და შეერთებულ შტატებ შორის მეგობრული კავშირი დასდეს, ეს გარემოება დიდს ცვლილებას მოახდენს ევროპის აწინდელს პოლიტიკაში".

— მანილიდგან გონ-კონგში მოსულმა იაპონიის გემის კაპიტანმა ამბავი მოიტანა, რომ მანილში ხელახლა მოხდა არეულობა და უწესოებაო. ისე დღე არ გავა, რომ რომელიმე სახლს ცეცხლი არ წაუკიდონო. უცხო ქვეყნელნი მანილს თავს ანებებენ და კავიტეში სახლდებიან. ისპანიის სამხედრო გემის „Callao"-ს კაპიტანი, რომელიც ნავთ-სადგურში შესულა, რადგანაც არ სცოდნია, რომ ომი გამოცხადებულია და ადმირალ დევეის დამორჩილებია, სამხედრო სასამართლო გადაწყვეტილებით დახვრეტილ იქმნა. ამბობენ, რომ ესპანიის ადმირალი მონტახოც სამართალში იქმნება მიცემულიო.

# ნაკვესი

— კაცო, აჩქარდი, გელიან.

— თუ მელიან, რაღად აჩქარდე?!.

— !!!...

## წერილი რედაქციის მიმართ

„კვალის" მე-20 №-ში ბ-ნი ნ. ჟორდანია შეეხო ჩემს პირადობასაც და ერთი ქვა ჩემკენაც გადმოისროლა მხოლოდ იმიტომ, რომ მე უარი განვაცხადე სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის უფროსობისა. ჩემი უარის თქმა ბ-ნმა ჟორდანიამ მიაწერა ჩემს მონა-მორჩილებას ქუთაისის სამზრუნველო კომიტეტის წინაშე. აი რას ამბობს ბ-ნი ჟორდანია: „რადგან ბ-ნი თ. მთავრიშვილი ამ კომიტეტის მონა-მორჩილია, ამიტომ უარი თქვა სენაკის სკოლის ინსპექტორობაზე და ისევ ქუთაისში არჩია დარჩენა".

თუ ბ-ნი ნ. ჟორდანია საქმეებს საფუძვლიანად და მიუდგომლად გაეცნო, და არა წინად განზრახულის აზრით, უეჭველად საქმეებში ჩემს ხელ-ნაწერ განცხადებასაც გაეცნობოდა და წაიკითხავდა; იქ ცხადად ჰნახავდა, თუ რამ მაიძულა უარის თქმა; მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა, „როცა კაცს არ უნდა, რიყეზედ ქვას ვერ დაინახავსო". ჩემს განცხადებაში ვწერდი: „მე სუსტის აგებულების კაცი ვარ, მეშინიან, ვაი თუ სენაკის ჭაობს ვერ ავიტანო, სამსახური ვერ შევიძლო და ამიტომ იძულებული ვარ უარი განვაცხადო".

მაშ რად დასჭირდება ბ-ნს ჟორდანიას დობე-ყორეს მოდება, მკითხაობა და გულთმისნობა? განა ეს შეეფერება ისეთ „დიდებულს და მიუდგომელს პუბლიცისტს", როგორიც არის ბ-ნი ჟორდანია? ნუ თუ ასეთი მსჯელობა არის მიუდგომელი და სამართლიანი მსჯელობა, ნუ-თუ ეს არის ნათლით მოფენა საქმისა, რომელსაც ასეთის რიხით ითხოვს ბ-ნი ჟორდანია; განა რასაც მწერალი სხვისაგან ითხოვს, ის მისთვის სავალდებულო არ არის? რა საფუძვლით მაწერთ, ბ-ნო ჟორდანიავ, ქუთაისის კომიტეტის მონა-მორჩილებას, როცა ეს კომიტეტი ჩემს უარის თქმაში არავითარს მონაწილეობას არ იღებდა? მე კახეთის ერთს მიყრუებულს სოფელში ვიყავი, როცა გამგეობის წინადადება მომივიდა. ჩამოვედი ტფილისს და პირადად ვუთხარი გამგეობის მდივანს ბ-ნ კარიჭაშვილს უარი; მან მითხრა, წერილობით შემოიტანე განცხადებაო და შემდეგ ეს განცხადებაც შევიტანე. მე არავისი მონა-მორჩილი არა გხლებივართ და არც ახლა გახლავართ. მე ჩემს საკუთარს სინიდისსა და აზრს დავეკითხე და, როგორც ამ სინიდისმა და გონებამ მამხილა, ისე მოვიქეცი. საფიქრებელია, ბ-ნო ჟორდანიავ, რომ თქვენ გამხდარხართ მონა-მორჩილი ქუჩაში გაგონილის უსაფუძვლო ხმებისა და თქვენი ცილის წამება ამ ხმებზედ დაგიფუძნებიათ და ან, როგორც ზევით მოგიხსენიე, გულთმისნობის მადას შეუპყრიხართ, თორემ სხვათ არაფრით არ აიხსნება თქვენი ასეთი შეხედულება ჩემს პირადობაზედ, რადგან თქვენ მალიან ნაკლები ცნობა გაქვთ ჩემი.

თ. მთავრიშვილი

ქუთაისი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 მაისი

**ნიუ-იორკი.** სანტ-იაგოდგან იუწყებიან, რომ სერვერმა ნაპირზედ გადმოსხა არტილერისტები და ინჟენერები, გადმოიტანა 20,000 მაუზერის თოფი, კარგა ბლომა სამხედრო საგზალი და იარაღიო.

**ლონდონი.** გაზ. „Times"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ნიუ-იორკიდგან, ჭეშმარიტი ცნობები ნებას მაძლევენ განვაცხადო, რომ არავითარი მოლაპარაკება არა ყოფილა შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის კავშირის დადების შესახებ, არც ეხლა და არც წინადაო.

**პარიჟი.** ახალშენთა მინისტრმა ლებონმა თავი დაანება სამსახურს. ახალშენთა სამინისტროს დროებითი მართვა იკისრა ჰანოტომ.

**ვაშინგტონი.** გენერალი მაილსი შტაბითურთ გაემგზავრა ტამპისაკენ, სადაც მსწრაფლ-მავალ გემში გადავა და წავა საომარ ადგილებისაკენ.

კი ვესტიდგან იუწყებიან, რომ ტვირთის მზიდველი ფლოტი წავა კონცხ მაიზისაკენ, კუბის აღმოსავლეთ მხარეს. იქ გადასწყდება ჯარი სანტ-იაგოსკენ იქმნას გაგზავნილი, თუ პორტო-რიკოსაკენ. თუ ამ ხნის განმავლობაში შლეიმ დაამარცხა სერვერის ფლოტი, მაშინ ექსპედიცია პორტო-რიკოსაკენ წავა, თუ არა და ჯარი სანტ-იაგოს თავს დაესხმება ხმელეთით.

**ნიუ-იორკი.** ჰავანნიდგან იუწყებიან, რომ ამერიკის ფლოტმა ნაშუადღევის 2 საათზედ სროლა დაუწყო სანტ-იაგოს სანაპირო ბატარეიას და ამერიკის გემები შეებნენ ესპანიის ფლოტს. სროლა დიდი იყო. $3^3/_4$ საათზედ შესუსტდა ზარბაზანთა სროლის ხმა, მაგრამ გაძლიერდა ბრძოლა ორივე ფლოტს შორისაო.

**მადრიდი.** მრავალი ესპანიის გემი, რომელთაც ამერიკიდგან მოჰქონდათ ნავთი, დღეიდგან ნავთის ზიდვას დაიწყებს რუსეთიდგან. რამდენიმე დიდი გემი გაემგზავრა კიდეც ბათუმისაკენ.


# განცხადებანი

## იძლევა ქირით

ცალკ-ცალკე ოთახები მარტო-ხელთათვის. შეიძლება **სადილითაც**.

ფრანგების ქუჩა, სახლი ტერ-პეტროზოვისა, № 3. (3—6.—3).



დიდის ვაჭრობისა და ახალის განუკეთესებულის საშუალებით ჩემ მიერ საათების დამზადებისა გამო შეძლება მომეცა 1897 წლის 1 ივლისიდგან ვყიდო მეტად მშვენიერი და გამძლე **საათები ამერიკულ ოქროსი მამაკაცთათვის**, ძვირად გასარჩევი მკოდნე კაცებისათვისაც ნამდვილ ძვირფას ოქროს საათებისაგან, —დახურული **ანკერი**, მეტად კარგის მანქანისა და ნაკეთობისა (1896 წ. ვერცხლის მედალით დაჯილდოვებულია ჟენევის გამოფენაზედ), ლამაზის ძეწკვით, **ამერიკულ ოქროსივე**, ბრელოკით, და, დამკვეთის სურვილისამებრ, იმის **მონოგრამმით** ზემო სახურავზედ, 18—20 მან. მაგიერ იყიდება

## მხოლოდ 10 და 12 მან.

ამერიკაში ამ საათებმა დიდი ხანია ხმარებიდგან გააძევა ნამდვილი ოქროს საათები და ბოლოს დროს ჩვენშიაც ჰხმარობენ.

ასეთივე საათი **ქალთათვის 1 მან. ძვირია**

წერილითი თავდებობა ეძლევა მყიდველს 6 წლის ვადით.

ვუგზავნი სრულიად მოწყობილსა და მორთულს საათს ორის მან. ბეს მიღების შემდეგ ფასდადებით. ადრესი:

## შ. გეილერის

**საწყობი ჟენევის საათებისა ქ. ვარშავაში,**

კოროლევსკაია, 27, 29.

— მრავალი სამადლობელი წერილები —

სიყალბის თავიდგან ასაცდენად ყოველ საათს ფირმის ბეჭედი აზის, რომელიც ნება-დართული და დამტკიცებულია სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტისაგან. (10—მ.—2)